ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ევგენი ხარაძის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის

დებულება

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ევგენი ხარაძის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს კანონმდებლობით, მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ საქართველოს კანონით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებითა და ობსერვატორიის დებულებით.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ევგენი ხარაძის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია (შემდგომში – ინსიტუტი) წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს.

2. ინსტიტუტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონებით, უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით.

3. ინსტიტუტი შეიქმნა 1932 წელს, საქართველოს მთავრობის 2007 წლის დადგენილებით შეუერთდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს.

მუხლი 2. ინსტიტუტის მიზნები და ამოცანები

1. ინსტიტუტის ძირითად მიზანს წარმოადგენს არსებული მატერიალური, ტექნიკური და სამეცნიერო პოტენციალის ბაზაზე განავითაროს ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევები ასტრონომიის, აერონომიის, კოსმოსურ კვლევათა და მეცნიერების სხვა მონათესავე დარგებში. ასევე ძირითად მიზანია არსებული მატერიალური, ტექნიკური და სამეცნიერო პოტენციალის ბაზის გამოყენება ამ დარგების მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისათვის სამაგისტრო და სადოქტორო დონეებზე.

2. ინსტიტუტის დანიშნულებაა ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევების წარმოება მთა ყანობილზე ობსერვატორიაში არსებული მატერიალური და ტექნიკური ბაზის, ასევე თბილისის განყოფილების ინტელექტუალური და მატერიალური რესურსების ეფექტური გამოყენებით. საბუნებისმეტყველო დარგში უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი გავლენის გაფართოება, სამეცნიერო კარიერის პრესტიჟის ამაღლება, უცხოურ სამეცნიერო ცენტრებთან არსებული კავშირების განვითარება და ახალი სამეცნიერო კონტაქტების ჩამოყალიბება უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის შესაბამისად.

3. ასტრონომიის პოპულარიზაცია: ახალგაზრდა თაობისათვის ასტრონომიის პოპულარიზაცია სასკოლო და საბაკალავრო დონეებზე სამეცნიერო ლექციებისა და სასწავლო კურსების, რეგიონული და საერთაშორისო სკოლების ორგანიზებით.

4. სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ექსპერტული შეფასება ასტრონომიაში: ვარსკვლავთა, გალაქტიკურ და გარეგალაქტიკურ ასტრონომიაში, მზის, დედამიწის ატმოსფეროსა და პლანეტების ფიზიკაში, ასევე ასტროფიზიკურ დინებებსა და კოსმოლოგიაში და ა.შ.

5. ახალგაზრდა, მაღალი კვალიფიკაციის მქონე სამეცნიერო კადრების მომზადება საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო დონეზე ობსერვატორიისა და თბილისის განყოფილების ბაზაზე სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ორგანიზებით.

6. აწარმოოს გამოყენებითი მიმართულების სამეცნიერო კვლევები და სამუშაოები სახელმწიფო ან კერძო დაკვეთით.

7. მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან, ობსერვატორიებსა და სამეცნიერო ცენტრებთან პარტნიორობით ახალგაზრდა სპეციალისტების პროფესიული ზრდის, მეცნიერ-მკვლევართა მხარდაჭერის პროგრამების განხორციელება.

8. სასწავლო კურსების, სემინარების ორგანიზება-განხორციელება.

9. საერთაშორისო სემინარების, კონფერენციების, სიმპოზიუმების მოწყობა, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი სპეციალისტების მონაწილეობით.

10. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგების ანალიზის საფუძველზე პერიოდული ანგარიშების მომზადება და წარდგენა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსათვის.

მუხლი 3. ინსტიტუტის სტრუქტურა

1. ინსტიტუტის სტრუქტურა შედგება ინსტიტუტის დირექტორის, ინსტიტუტის საბჭოსაგან:

2. ინსტიტუტში გაერთიანებული არიან პროფესორები და მკვლევრები, რომელთა სასწავლო და კვლევითი დატვირთვა აისახება მათ შრომით ხელშეკრულებაში უნივერსიტეტთან.

მუხლი 4. ინსტიტუტის მართვის ორგანოები და მათი ფუნქციები

1. ინსტიტუტის მართვის ორგანოებია: ინსტიტუტის დირექტორი და ინსტიტუტის საბჭო, რომელიც შედგება ინსტიტუტის ყველა პროფესორისა და მკვლევრისაგან.

2. ინსტიტუტის საბჭო:
   ა) განიხილავს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს დირექტორის მიერ წარმოდგენილ ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროგრამასთან დაკავშირებით;

   ბ) ითანხმებს ინსტიტუტის დირექტორის მიერ შემუშავებულ ინსტიტუტის ბიუჯეტის პროექტს;

   გ) გადაწყვეტილებებს იღებს სხდომაზე დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით.

   ინსტიტუტის დირექტორი
   ა) ინსტიტუტის დირექტორად შეიძლება დაინიშნოს პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი.

   ბ) ინსტიტუტის დირექტორი ხელმძღვანელობს ინსტიტუტის საქმიანობას;

   გ) აკადემიურ საბჭოს განსახილველად წარუდგენს ინსტიტუტის ბიუჯეტის პროექტს, ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროგრამას;

დ) რექტორს წარუდგენს წინადადებებს სამუშაოზე ასაყვანი პროფესორების კანდიდატურებთან დაკავშირებით;

ე) ყოველი წლის ბოლოს აკადემიურ საბჭოს წარუდგენს საქმიანობის წლიურ ანგარიშს.

3. საბჭოს სხდომა
   ა) ინსტიუტტის საბჭოს სხდომას იწვევს დირექტორი ან ინსტიტუტის საბჭო;

   ბ) საბჭოს სხდომის შემდეგ დგება სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

   გ) სხდომის ოქმს უნდა ახლდეს საბჭოზე დამსწრე პირთა სია ხელმოწერით.

   დ) საბჭო გადაწყვეტილებას იღებს „საბჭოს გადაწყვეტილების" სახით.

მუხლი 5. ინსტიტუტის პერსონალი

1. ინსტიტუტს ჰყავს აკადემიური პერსონალი, მკვლევრები და დამხმარე პერსონალი.

2. ინსტიტუტის პერსონალის შრომითი ფუნქციები გაწერილია მათ შრომით ხელშეკრულებაში.

3. აკადემიური პერსონალის თანამდებობის დაკავება შესაძლებელია „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით.

მუხლი 6. პროფესორთა და მკვლევართა უფლებები და მოვალეობანი

პროფესორსა და მკვლევარს უფლება აქვს:

1. დამოუკიდებლად განახორციელოს სამეცნიერო კვლევა და შეუზღუდავად გამოაქვეყნოს კვლევის შედეგები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი შეზღუდვა უნივერსიტეტში არსებული წესით, შრომითი ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული ან ისინი შეიცავენ სახელმწიფო საიდუმლოებას;

2. დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეცნიერო კვლევის შინაარსი, კვლევის მეთოდები და საშუალებები;

3. განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებები;

4. პროფესორი და მკვლევარი ვალდებულია, შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

5. ინსტიტუტის პროფესორების, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორების მოვალეობაში შედის სტუდენტების მომზადება საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფარგლებში.

6. ინსტიტუტის პროფესორსა და ასოცირებულ პროფესორს უფლება აქვს, უხელმძღვანელოს სტუდენტებს ნაშრომის მომზადებისას.

მუხლი 7. ინსტიტუტის ქონება და ბიუჯეტი

1. ობსერვატორიის პროგრამების დაფინანსების წყაროებია: საბიუჯეტო ასიგნებანი, სამეცნიერო და/ან სხვა სახის გრანტები, შემოწირულობანი, სამეურნეო საქმიანობით მიღებული და სხვა შემოსავლები, რომლებიც კანონით არის ნებადართული.

2. ობსერვატორიისა და პროგრამების ფინანსების განკარგვა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით.

3. ობსერვატორიას, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, შესაძლებელია ჰქონდეს ბეჭედი და სატიტულო ფურცელი.

4. ინსტიტუტის პროფესორები და მკვლევრები სარგებლობენ უნივერსიტეტის ქონებით უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 9. წესდებაში დამატებებისა და ცვლილებების შეტანა

1. აღნიშნულ დებულებაში დამატებებისა და ცვლილებების პროექტს შეიმუშავებს ინსტიტუტის დირექტორი, წარუდგენს დეკანს, ხოლო შემდეგ წარედგილება აკადემიურ საბჭოს განსახილვევლად და წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად.

2. დებულებაში დამატებებისა და ცვლილებების პროექტი უნდა იყოს დასაბუთებული და ასახავდეს დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების აუცილებლობას.